და-ძმები ესიზმრებოდა. მეორე დილით როზას მოწყენილობა რომ შეატყეს მინდორში წაიყვანეს, სადაც ბევრი და ლამაზი ყვაებილები იყო. როზამ იქ არამდენიმე თავული შექრა. სადილათ მშვენიერი შემწევარი ინდოური ჰქონდათ. ბოლოს შაქრის დიდი პურიც მოი-რანეს. როზას ძალიას გაეხარდა ამისთანა გემრიელი საჭმელები რომ დაინახა, მაგრამ კაბა რომ დაუწყო ისე შინაურები მოაგონდა და არამდენიმე კარგი ნაკერი იმათვეს შეინახა.

ასე გადიოდა დღეები. არც დედა და არც და-ძმები როზას სა-ნახავათ არ მოდიოდენ. როზაც თან-და-თან უფრო და უფრო ხში-რათ იყონებდა მათ და სწობდა, ჯაერობდა. ყოველ დღე გაიცე-რებოდა დიდ შარა გზისკენ და მატარებლის ორთქლს რომ მოჰკრავ-და თვალს გული აუკან კალდებოდა სიხარულით, უთუოთ დედა მო-დისო.

მაგრამ დედა არსად ჩანდა და ბაეშის გართობა ვერაფრით მო-ეხერებინა მამიდას და მის ქმარს. როზა გახდა. ბოლოს სიცილიც-კი აღარ ეკარებოდა მის სახეს. ყოველ საღამოს მამიდა მიუჯდებოდა ხოლმე როზას ლოგინთან და სხეა-და-სხეა ამბებით ართობდა მანამდის, სანამ დალალულ ბაეშს თელემას არ დააწყებინებდა. ასე გავიდა კი-დევ ერთი კვირა. ერთ ღამეს როზა აღდა ლოგინიდან, ჩუმათ ჩაიც-ვა, აუშეა დამტული ბზრიალა, გაიმძლარა წინ და გაუდგა გზას. მას კარგათ ახსოვდა, რომ დედის სახლიდან მამიდის სახლამდის ათი ვერ-სი უნდა გაეკარდო. რაც-კი მთელი კვირის განმაელობაში ტკბილეუ-ლობა მოეკროვდინა და-ძმებისთვის გამოხვია ხელცახოცმი და თან წამოილო. რადგან ბზრიალა გვერდით მოსდევდა როზა უშიშრათ გა-უდგა გზას. ასე მიაღწიეს ტყემდე. ტყეში უკუნეოთ სიბნელე იყო და შიშის ზარსა სცემდა საწყალ ბაეშს. მას ეჩვენებოდა, რომ აგრე უახ-ლოედეა რაღაც საშიშარი არსება, ან უშეელებელი მხეცი, მაგრამ აკა შეამჩნევდა, ბზრიალა დამშეიდებით მიდისო, გულს გაი-მაგრებდა და ბოლოს მიხედებოდა ხოლმე, რომ უშეელებელ არსე-ბათ ეჩვენებოდა ვაღალი ხეებიდა საშიშარ მხეცებათ დიდი ჩირგვები.



გაიარეს ტყის ნახევარი მანძილი. ბზრიალა უცებ შექრდა, წაელო როჩას კაბაზე პირი, სახლისკენ ეწეოდა და ცხადათ ეხერწე-ბოდა უკან დაებრუნდეთ. როჩაც თავის მხრით ეხერწებოდა, ა-ლევდა ტკილეულობას, მაგრამ ბზრიალა დიდ უარზე იღვა და აღარ მიღიოდა. ის კარგა ხანს იღვა ერთ ალაგს და გაშტრერებით ჟესტერით როჩას და, როდესაც დარწმუნდა უკან აღარ დაბრუნ-დებაო, გაბრუნდა და მოჰკულიცხლა სახლისაკენ.

— ბზრიალა, ჩემო ბზრიალა! სასოწარკეეთილებით შეჰყვირა ბაშა
— ნუ დამტოვებ მარტო, ხომ მატყობ რომ მეშინიან. მაგრამ ბზრია-
ლას არა ესმოდა-რა და სახლისკენ მიეჩქარებოდა. როჩას ჯერ უნ-
დოდა უკან გამოჰყიდებოდა ძალის, მაგრამ მერე იფიქრა ბზრია-
ლა აღბათ თავის შეილებთან გაიქცა, ან-კი რისა უნდა მეშინო-
დეს, ტყე თითქმის გვიარეო და გასწია წინ. მაგრამ აი თათქო კი-
დევ რაღაც საშინელი არსება. აგრეთ თავს იქნებს, ხელს იშეერს რო-
ზასკენ. როჩას მუხლები უკანკალებს და მაინც მიდის, ის თითქოს
ხელში უვარდება საშინელ არსებას!.. იქნება ტყე მაღლე გაელო...
იქნება დედაჩემის სახლიც ახლოა... ფიქრობს როჩა.

უცებ რაღაც შეჩილი შემოვსმა და ისე შეშინდა, რომ
შეპყვითა. ამ დროს მთვარემ გამოაწათა და როზამ დაინახა უშეე-
ლებელი მწერნე ჯოჯო, რომელიც პირდაპირ როზას მიშტერებოდა
თავისი საშიშარი დიდის თვალებით.

— ეს უტევლათ ქაჯია! გაიფიქრა როჩამ.— რამდენჯერ გამიგონია ზღაპრებში, რომ ქაჯები ხშირათ ჯოჯოებათ გადიქცევიან ხოლმეო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. სიჩილ-ში გრძნობდა, რომ ქაჯი უკან მისდევდა და შიშით უკან ვერ იხედებოდა.

ბევრი სირბილის შემდეგ როზა შეჩერდა. მას წინ ახლა კურდლელი გამოეციმა — ის წამოსკუპულიყო უკანა უქცებზე და წინა ფეხებით ჰირს იწმენდავდა. კურდლელმა რომ როზა დაინახა გაიქცა. ამან ბაეშა ცოტათი დაამშეიდა და უფრო თამამათ გაუდგა გზას. მას ეცი-

ნებოდა კურდლელი რომ აგონდებოდა, ყოფილა ისეთი არსება, რომ
 მელსაც ჩემი შინებია. ამ დროს რაღაც ღრიალი და შოლტების
 ტლაში-ტლუში შემოესმა. მართლაც მალე გამოჩნდა ეტლი, რო-
 მელმაც სწრაფათ ჩაიქროდა როზას გვერდით, შიგ რაღაც საშიშა-
 რი არსებანი ისჩდენ—ალბათ ესეც მოჩერებააო—გაიფიქრა როზამ,
 მაგრამ ისინი მოჩერება-კი არ იყენ, არამედ მთერალი კაცები მო-
 აქროლებდენ ეტლს. შიშისა და დაღლულობისაგან საწყალი ბავში
 ძლიერ მიაბიჯებდა უეხებს, მაგრამ მაინც იმედს არა ჰყარგვდა, რომ
 დედის სახლს როგორმე მიაღწევდა.

მთვარე ჩასელას ეპირებოდა. როზა ახლა მინდორ-მინდორ მი-
 დოოდა. უცებ კიდევ ახალი შიშის ზარი დაეცა, რაღაც ყრუ ხმით
 ღრიალი შემოესმა: ფეხის-ხმა, ბლავილი, ფრუტუნი თან-და-თან უახ-
 ლოვდებოდა და უმისითაც დასუსტებულ ბავში შიშის ზარსა სცემ-
 და; სისხლი გაუშრა, მუხლები დაეხუთა, დაყვირება უნდოდა და ხმა
 ვეღარ ამოილო. გზის ბოლოს სამრეკლო გამოჩნდა, როზამ რაც
 ძალი და ლონე ჰქონდა შემოიყრიბა და სამრეკლოსთან მიიჭრა, მოხევა
 ხელი და ლოცვა-ვედრება დაუწყო, შეელას ემუდარებოდა. ამ დროს
 ათასმა თეალმა საშიშარის ბრიალით შემოანათა როზას და გაჟრა, რა-
 ღაც თბილი ორთქლი კ შეასხეს სახეზე. ასი ათასი საშიშარი არსება
 უშველებელის რქებით, ბლავილით, ფრუტუნით მოაბიჯებდა როზას-
 კნ, საბრალომ ამას-კი ვეღარ შეუძლო და სამრეკლოს ძირში დაეცა.

ხარ-კამეჩის ჯოგმა დაშვეიდებით ჩაირა სამრეკლოს გვერდით
 და მენახირებს ფიქრათაც არ მოსელიათ თუ საცოდავ ბავშს მათმა
 დანახვამ რა შიშის ზარი დასცა. მეორე, დილას, მზის ამოსელისას,
 ძილისგან სრულიად დაშვეიდებულს და მზის სითბოსაგან გამაგრე-
 ბულ როზას გამოელეიძა.

ვენდელის ქერიეს ამ დღეს ძალიან ბეერი მუშაობა შეხედა;
 შუალამისას ამდგარმა მეორე საღამომდის საჩეცხი რეცხა და მხო-

ლოდ ბინდისას დაბრუნდა სახლში. ეისთანაც სარეცხს რეცხდა იმ ქალმა ბლომათ ძეხვები აჩუქა და გაზარებულმა მოიჩინა სახლში, მაუმშაბა საუზმე შეიღებს და თავს ბეჭნირათ გრძნობდა. როდე-საც ყველა შეიღები შემოუსხლენ მაგიდას და დედამ მათ თვალი გა-დაავლო, როზა გაახსენდა...

— როგორც იქნება გამოვალთ, შეიღებს შშიერებს არ დაწო-
ცავ, გაიფიქრა დედამ — ამაღამ როზაც რომ აქ იყოს ხომ იმასაც ეყოფოდა! და ამის მოფიქრებაზე ღაპალუპით გადმოყარა ცრემლები.

— ეს რა აშაეგი! ეილასიც ფეხი წმა! შესძახა დედამ და წამობ-
რა ზეზე, მაგრამ მანამ ის კარებთან მიეიღოდა, კარი გაიღო და რო-
ზა შემოექნა დედას ყელზე.

— დედა, დედილო, შენთან ეიქნები, ჩემო დედა, მე სულ
თქვენთან მინდა დაერჩე!.. ემუდარებოდა როზა დედას და თან. ლო-
კებზე ჰკოცნიდა.

დედა დიხანს იკრავდა გულში საყვარელ შეიღოს და თუმცა
არაფერს ამბობდა, მაგრამ როზა ისე ბედნირათ გრძნობდა თავს, რო-
გორც გრძნობს ხოლმე ყოველი ბაეში საყვარელ დედის გულ-
მკერდში ჩანუტებული.

ს. ციცი შვილი.



ქაპეტანი იაკობ ქუქი.

I



ც-და-ერთი, ოც და-ორი, ოც-და სამი... საყირეელია!
 რატომ ანგარიში სწორეთ არ გამოდის! მოღი ერთი
 კიდევ გადაეთვლი! ამბობდა რობერტ კენედი; ეს
 იყო ერთი შეძლებული მედუქნე ქალაქ სტეგისა,
 რომელიც სავაჭრო ქალაქ ნიუკესტელთან ახლოს
 იმყოფებოდა.

კენედი ამ დუქანში დაბერებულიყო. სქელი, ჩგვალი, ის სწრა-
 ფათ დარბოლა თავის პატარა ფეხებით. თავზე თმი თითქმის სრულე-
 ბით არა ჰქონდა, მხოლოდ წინ ორიოდ ბეწვი მოუჩნდა, ისიც ყალყზე
 ადგა. განიერი და ჩამოაშებული ცქეირი ზემო ტუშის მიჰკვროდა. ჩგვა-
 ლი გადმოპრაწული თვალები სახეს მმაცურ შეხედულობას აძლევ-
 და, ამასთანავე კეთილი და პატიოსანი გამომეტყველობა ჰქონდა.
 კენედი ძალიან მხიარული მოხუცი იყო და მუდამ თავის თავის
 დაცინებაში იყო, ისე რომ სხევებს აღარ ეხალისებოდათ მასზე და-
 ცინება.

ქვეყანაზე მხოლოდ ერთათ ერთი ადამიანი მოიპოვებოდა, რო-
 მელიც ამ კეთილ და პატიოსან მოხუცს მუდამ უჯავრდებოდა და
 ეს ადამიანი, საუბედუროთ, მისი ცოლი იყო.

კენედის მეუღლე ბუნებით სულაც ბოროტი არ იყო, მაგრამ
 ავათმყოფობამ ზაფრა ისე აუშალა, რომ სიპერის დროს აუტანელი
 და მოჩხუბარი გახდა. ამას შეილება არა ჰყავდა. მართალია თავის

თავს ანუგეშებდა, რომ უიშათოთ საზრუნველი ნაკლები მექნიზმა, მაგრამ გულში-კი ნანობდა—მემკვიდრე არა მყაფსო.

რობერტ კენედი უჯდა თავის მაგიდას და მეოც-და-ათვეურ თელიდა ფულს. ეს იყო 1741 წელს, ზაფხულში.

— ოც-და-ერთი, ოც-და-ორი, ოც-და-სამი, იმეორებდა რობერტი, როდესაც ზემო სართულიდან მოესმა ცოლის მყეირალა ხმა:

— რობერტ! რობერტ! რას აკეთებ მანდ ამოდენა ხანს?

— მინდა გადაეთვალო ჩემი ხაზინა, ფული ხომ არ მაკლია!.. ოც-და-ხუთი... ოც-და-ექვსი...

— ოც-და-შვიდი, ოც-და-რეა... გამოჯავრებით განაგრძო ცოლმა—რა დაგემართა, არ გათავებ, მალე თორმეტი საათია, ეკლესიაში წასელის ღროა!

— ასე ხომ არ მივატოვებ, ჩემო კარგო, უთხრა წუწუნით კენედიმ, ფული მაკლია.

ამ სიტყვების გაგონებაზე მორთული მოხუცი ქალი იმავ წამს ძირს ჩამოიჭრა.

— ფული გაკლია და შენ ხმას არ იღებ? არათრათ მიგაჩნია ფულის დაკარგვა, განა? მომეცალე! ბრძანების კილოთი უთხრა ქალმა,— მთელ ორ საათს თელი, ხედავ რომ გაკლია ფული და ხმას არ იღებ. რა უთაურობაა, ღმერთო ჩემო! შენ უნდა აქამდის მთელი სახლი ფეხზე დაგეყენებინა!

— ეინ უნდა დამეყენებინა ფეხზე, როდესაც სახლში არავინ არ არის, შენ და ჩემს მეტი, მზარეული დედაკაცი ბაზარშია, შარლოტა ძალუასთან წავიდა და იაკო სხვაგან გაეგზავნე საქმეზე. მე ხომ იცი არ მიყვარს აყალმაყალის ატეხა...

— განაგრძე, განაგრძე, რალას დაჩუმდი? ის გინდოდა გეთქვა რაღა, რომ შენ არ გიყვარს აყალმაყალი და მე-კი მიყვარს! რომ მე ჩეუბის ამტეხი ვარ, ბრძოლი და აუტანელი დედაკაცი? აგრე განა! სულ სხვა ვინმე ბრძანდებიან: მზარეული დედაკაცი, შარლოტა და ან შენი საყვარელი იაკო!

— კარგი, კარგი, თავი დამანებე. უყელამ იცის რომ შენა ხარ დისახლისი, რომ უშენოთ სახლში არც ხორცი მოიხარშება და არც კვერცხი ჟეწენება.

მეუღლემ ერთი სასტიკათ გადახედა ქმარს, თითქოს უნდოდა ეკითხნა, ხომ არ დამცინიო! მაგრამ რაკი შეხედა მის კეთილ სახეს შერცხვა და დამშეიდებით ჰქითხა:

— რამდენი ფული უნდა იყოს აქა?

— ოც და ხუთი გირვანქა სტრანინგი და რამდენიმე შილინგი...

— მაშ შენ დარწმუნებით არ იცი რამდენი უნდა იყოს?

— კარგათ არ ვიცი, მერე რა ფუყოთ, ჩემო სულიკო, სახლში ხომ ქურდი არა გვყავს, თუ აკლია, მე თითონ გადავაყოლებდი სახარჯოს.

— რა იცი რომ სახლში ქურდი არა გვაეს?

— მერე ამ ყუთიდან ფულს როგორ წაიღებენ?

— ძალიან ადეილათ! გასაღები ყოველთვის შიგ არის, რა გა-საკეირველია რომ წაიღონ...

— მართალია გასაღები შიგ არის, მაგრამ ღუქანი არაოდეს ცა-რიელი არ არის, შიგ ყოველთვის ვინმეა.

— მაგითი რა უნდა თქვა?

— ის მინდა ვთქვა, რომ ქურდობას ვერაერს დავაბრალებ, ვერც ჯენის, ვერც შარლოტას და ვერც იაკო კუკს და სანამ ჩემი თვა-ლით არა ენახავ, ვერც დავიჯერებ.

— კარგი, ცუდ-უბრალოთ რას ლაპარაკობ, რომ იმახი: კიდეც რომ ენახო, არ დავიჯერებო!

— განა შეიძლები უსაბუთოთ ვისმეზე ეჭვის აღება?.. კენწედამ არ დამთავრა თავისი სიტყვები; ამ აზრმა ისე შეაწუხა, რომ ფერი წაუყიდა.

— მე ბრალს არაეისა ვდებ, მაგრამ გულში რასაც მინდა იმას ვიფიქრებ! შენი იაკო აკეთებს ანგარიშს, შემოსავალ-გასავალი იმის ხელშია... უნებლივთ კაცი რასმეს გაიტარებს თავში.

— სწორეთ სჯობია, ჩემზე აიღო ეჭვი! ცოდვა არ არი, რომ უდანაშაულო ყმაწეილს აბრალებ? ხომ იცი რა პატიოსანი და კარგი ოჯახიდან არის. ეგ ხომ თომა კუკის შეილია და გაზრდილია ისეთ სათნოინ კაცისაგან, როგორიც არის ბატონი სკოტოუ, იმან ასწავლა უმაწეილს სკოლაში წერა-კითხეა და დიდი ქებით მომაბარა.

— დაიცა, რობერტ, რა გითხრა, მე მოვიგონე საშუალება ქურდის საპონენელათ.

— ნულარ ვილაპარაკებთ მავაზე და ნურც ეძებ ქურდი!

— რატომ? რა ამბავია!

— იმიტომ, იმიტომ, რომ... ერთი მოიფიქრე, მართლა, რომ აღმოჩნდეს ჩეენში ქურდი, მერე? ღმერთო ჩემო, რა უბედურება იქნება!

— შენ სწორეთ გიფი ხარ! მომითმინე, აი ამ ფულზე დავხედ ჯეარს, ისე-კი რომ ძნელი დასანახი იყოს. ახლა გადაეთელი ფულს და დაეინიშნავ უბის წიგნში ასე: ოც-და-ხუთი გირეანქა სტერლინგი და თორმეტი შილლინგი. ახლა აღარა გვიჭირს-რა, წაეიდეთ ეკლესიაში.

— ღმერთმა ჰქნას, რომ ქურდმა არ აიღოს ეგ შილლინგი! წაიბუტბუტა კენენდიმ და გაჟევა ცოლს.

გავიდენ თუ არა ქუჩაში, ამათ დახხდათ ერთი ცამეტი წლის ყმაწეილი.

— საიდან მოდიხარ, იაკო! ჰქითხა მას კენენდიმ.

— ქალბატონ პიროსთან ვიყავი, წავულე ხელთათმანები აქ რომ დარჩა. ახლა ნება მომეცით ცოტა ხანს გაეისეირნო!

— არა, არ შეიძლება უთხრა მკვანეთ კენენდის მეულლემ, ჩეენც მიედიდართ სხეაგან, ღუქანში უნდა ეინმე დარჩეს. მე არ მიყეარს, როცა დუქანი სულ ცალიერია.

— ღუქანი ხომ შეიძლება დაეკეტოთ. რათ ვაკავებთ ყმაწეილს აქ ცუდ-უბრალოთ? წაეიდეს, ითამაშოს. უთხრა ცოლს ქმარმა.

მაგრამ ქალმა თავისი გაიტანა და ყმაწეილი არსად არ გაუშვა.

— „არ მიყვარს როცი დუქანი სულ ცალიერია!“ გაიმეორა გა-
ჯავრებთ ყმაწეილმა და შეეიდა სახლში, — არ ვიცი რისი ეშინია? დუქანმა არ მოიწყინოსო, ამიტომ მე უნდა მოვიწყინო? ჩემი სი-
ცოცხლე სულ ამაში უნდა გაეატარო, რომ ვყიდო ნეესები, ქინძის-
თავები, ძაფები და სხვა წერილმანი... მაგრამ მეყოფა ამადენა ბუზ-
ლუნი, მე უძინოსთაც ბედნიერი ვარ, რომელი ჩემისთანა გლეხის-
შეილი ცხოვრობს ასე კარგათ, როგორც მე. წერა-კითხვაც ხომ შე-
ეისწავლე! მოვუადები წიგნს და გამიელის მოწყენილობა.

ყმაწეილმა მიიხედ-მოიხედა და რომ დაინახა დუქანი არეე-და-
რეული დაიწყო მილაგება. მაგიდის გასაწენდათ რომ დაიკუშა მისი
ჩასაცმელის ფოლაქი მოედო მაგიდის უჯრას და უჯრა ძალა უნე-
ბურათ გამოიწია.

— ეს რას ნიშნავს? დიასახლისს დაეწყებია ფულის უჯრის გა-
საღები! უქ! რა სიმდიდრეა! ამბობდა ყმაწეილი და თან უჯრაში ჩა-
ცეროდა ფულის. ამოდენა ფული მამაშიმს რომ ჰქონდეს რაკარგი
იქნება! ყმაწეილმა ოვალი შეასწრო ვერცხლის ახალ შილლინგს.

— რა იქნება რომ ეს გამოეცალო ჩემ გაეანგებულ ვერცხ-
ლის შილლინგზე, რომელსაც საჩუქრათ ვეპირებ დას გაეუვზავნო! გა-
იფიქრა ყმაწეილმა და იმავ წაში თავისი გაეანგებული შილლინგი ჩა-
ავდო უჯრაში და მის მაგირ ამოილო სწორეთ ის ახალი, პრიალა
შილლინგი, რომელიც დიასახლისმა დანიშნა. რას იფიქებდა ყმაწეი-
ლი ამას რა შედევგი მოჰყებოდა.

II

ეკლესიიდან ცოლ-ქმარი ეწეინ პასტორს და იქ დარ-
ჩენ მთელ დღეს. მეორე დღისას, დიასახლისი წამოდგა თუ არა, გა-
იქცა მაგიდის უჯრის სანახავათ, სადაც ფული ჰქონდა შენახული.
გამოსწია უჯრას თუ არა მაშინვე შეპყვირა:

— მოიპარეს! მოიპარეს!



ამ კვირილზე მოირბინეს კუნლამ.

— რა ამბავია? შერე ვინ მოგპარავდათ ფულს? შეუპორათ ჩა-
უდგა პირში მზარეული დედახაკი.

— ჩემი დანიშნული შილინგი მომპარეს!

— ღმერთო ჩემი! რაღა ის დანისული შილინგი მოიპარეს,
ოხერთ ბურბულისა კინედი, — ნერავი სხვა მაინც მოეპარა!

შზარეული დედაკაცი-კი ჩატვირთვით ჰეროინის გაღმატობას, ვისჯე გაქვს ექვეიო? მერე ჯიბეები გადიბრუნა; არწმუნებდა, რომ მას არ აუღია და თხოვდა — გასინჯეთ ჩემი ბარგიო.

შარლოტაც საშინლათ შეწუხდა და იცვეწებოდა ჩემი ბარგიც
განასწორდა.

კენწედი იტანჯებოდა: ამშეილებდა ყველას და თხოვდა ცოლს
ამ დავილარაბას თავი დაანებეთ. მაგრამ ის თავისას არ იშლილა.

— მე აქ დანიშნე შილინგი, ყველოდა ქალი თანდათან მაღლა.—აქ აღარ არი. მომეცით ის ახლავე! სად არი იაკო? განაგრძო დიასახლისმა და თან აქეთ-იქით იუჟებოდა.

— ყმაწევილი სახლში არ არის. ღილას აქეთია საქონელი წაი-
ლო ნიუკესტელში საჩენებლათ. აი იმასთან... მდიდირი გაჭარი რომ
არის... მე იმის სახელი ყოველთვის მავიწყდება — თქვა მზარეულმა დე-
დაჭაცმა და მერე დაუმატა: — მაგრამ ის ყმაწევილი ისეთივე დამნაშა-
ვეა, როგორც მე.

დიასახლისმა მოთმინება დაჭკარება.

— ყველა იმას ესარჩილება, არ მინდა თქვენი თავდებობა. წა-
მომყენით ზემოთ, მიშეველეთ დანაკარის პოვნა.

კენელი სულ დაიტანტა.

— ჩემო კარგო, დამშეიდლი... დაიწყო მან.

— წამოდით ყველოდა მისი ცოლი, დაკუტეთ დუქანი, აეიდეთ
ზემოთ!

კუველა აეთდა მაღლა და იაკოს ოთახთან გაჩერდა. კუნძედის მეუღლე შეეიდა ოთახში და ერთბაშათ შეჰყეირა.

— აი, უყურეთ! ხედავთ ეს ჩემი ახალი შილლინგია, რომელიც
დანიშნული მქონდა.

უველა ჩუმათ იღვა. უველას სახეზე შეწუხება გამოიხატა.

— კარგი. მე მეტი არა მინდა-რა, თქვა კენედის მეუღლემ და
ფული ისევ ისე თავის ადგილას დასდო. — ჩავიდეთ ისევ ძირს და
როცა იყო მოვა, არაენ არაფრი უთხრას.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ამბობდა კენედი. — ვინ იცის
რითი გათავდება უველა ეს! მერე კენედიმ სტაცა ხელი იმ უბედურ
შილლინგს, ჩაიდო ჯიბეში და ცოტა დაშვიდებული ჩავიდა ძირს.

III

როგორც-კი უველა წაეიდ-წამოეიდა თავის ბინაზე, მოისმა ია-
კოს მხიარული, წყრიალა ხმა, ის დამღეროდა ახალ სიმღერას, რო-
მელიც ესწაველა ერთ მეზღვაურისაგან ნიუკესტელში.

— აა! მოხვედი, შე ქურდო, მაწანწალა! ამ სიტყვებით დაუხე-
და დიასახლისი.

ყმაწეილმა ერთი საშინლათ შეჰკივლა.

— არ გამოტყდე, არ გამოტყდე, წაუჩირჩულა კენედიმ.

იაკომ არ იცოდა რა ექნა. ხან ერთს შეხედა და ხან მეორეს.

— დიახ, დიახ, ქურდი ბრძანდები, ყეირადა უფრო და უფრო
მაღლა დიასახლისი. — ჩენ ავიყვანეთ სახლში, უური გიგდეთ და
შენ-კი მაღლობის მაგივრათ გაგეურდე! კაი ვაჟბატონი ბრძანე-
ბულხარ!

— მე? მე გაგეურდეთ?... თქვა ბოლოს გონიე მოსულმა ყმაწ-
ეილმა.

— ახლავე აიბარგე და გასწი, სადაც გინდა, უთხრა გაჯავრე-
ბით დიასახლისმა.

— ეერა გამიგია-რა, გა-
ნა მე მეუბნებით? მე მიძახით
ქურდს?

— ეითომ არ ესმის, უდა-
ნაშაულო ბრძანდება! მაშ ეის
ეეუბნები? განა შენ არ მომ-
პარე შილინგი? გვიონია მე არ
ეიძოვე, ზემოთ, შენ ოთახში?

— თქვენ მე შეურაცხ-
ყოფას მაყენებთ, ქალბატო-
ნო კენწედი. შეჰვერია იაკო
კუჭმა და გაჯავრებით თვალე-
ბიდან თითქო ცეცხლი გად-
მოცეიდა, — ჩეენ ოჯახში თა-
ვის დღეში არავინ ქურდი არა ყოფილა!

— იქნება მართლა, აქამდის, თქვენში ქურდი არა ყოფილა, მაგ-
რამ იმას ხომ ეერ იტყეი, რომ შენ არ აგელოს ჩემი ახალი ვერცხ-
ლის შილინგი?

— ახალი შილინგი, რომელიც აი ამ უჯრაში იყო განა? ჰეით-
ხა იაკომ.


— დიახ ის, ხომ გამოტყდი.

— ნუ გამოტყდები, უთხრა კენწედიმ ყმაწეილს თითქმის ხმა
მალლა. მე დაემალე ის შილლინგი, ჯიბეში მაქეს!

— მაშ შენ ამართეთ ის ფული და დამალე, მაშ შენ აქეზებ
ქურდებს და ავაზაკებს, მიეარდა მას გაბრაზებული ცოლი, — ძალინ
კარგს ჩადიხარ, განა?

— მე ვერიღებოდი აყალმაყალს, თქვა კენწედიმ მოარცხათ, —
იაკო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ კარგათ მოიქეცი, ხომ
გვემის, რა ცუდი საქციელი ჩაიდინე.

— გვფიცებით, რომ მე არ მომიპარავს, თქვა ცრემლამორევით



ყმაწეილმა.—დათვალეთ თქეენი ფულები და ნახავთ რომ არა გაკლიათ-რა. მე მხოლოდ გამოეცეალე ფული, ახალი აეილე და მის მაგიერ ძეველი ჩაედე. განა მე მოეპარავდი! ღმერთო ჩემო, როგორ აიღეთ ჩემზე ეჭვი! თქეა ყმაწეილმა ქვითინით.

— მე არ ვამბობდა! შხიარულათ შეპყირა კენწედიმ, — მე ვიციდი, რომ ეს ყმაწეილი არას მოიპარავდა. ჩემო მეუღლევ, ფული სრულად არის?

— სრულად არის, თქეა დიასახლისმა გადათვალა თუ არა ფული, თითქო სინანულით. ყველას სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

— მე მოეპარავდი! ქურდობა დაწამეს! იმეორებდა უნუგე-შოთ ყმაწეილი.—დამითხავეთ, მე აქ ვეღარ დაერჩები!

— კარგი, გეყოფა, დამშეიდდი, ნუ სულელობ. მე ვარ შენ წინ დამნაშავე, ბოდიშს ეიხდი, რა გინდა მეტი?

— ჩემზე ისეთი ეჭვი აიღეთ, რომ ბოდიში არას უშეველის. თქეენ მე ქურდათ ჩამთვალეთ, მას შემდევ მე ერთი საათიც არ მედგომება თქეენ სახლში. კიდევ კარგი რომ საქმე გამოირკვა, მაგრამ ქალბატონ კენწედის რომ თველაში შეცდომიდა, ან საღმე გადავარდნი-ლიყო შილლინგი, მე ხომ სამუდამოთ ქურდის სახელი დამერქმე-ოდა.

— კარგი, იაკო, ხომ ხედავ ვნანობ, ვნანობ ჩემ საქციილს... შენა ხარ დამნაშავე, რობერტ, ავან სულ გადამრია, მარწმუნებდა რომ დიდი ხანია ვამჩნევ ფულების დაკარგვასო.

— მაშ ჩემზე დიდიხანია ეჭვი აკილიათ! მე-კი არაფერი არ ვიციდი! არა, არ შემიძლიან, ერთ წუთსაც ვერ გაეჩერდები აქ!

თქეა ეს სიტყვები თუ არა იაკო გავიდა ოთახიდან და პატარა ხანს უკან ისევ შემოედა პატარა ბორბით (ფუთით) ხელში. ეს ბოლჩა წინ გაუშალა დიასახლისს და თხოვა მას გადეშინჯა, რომ მერე კიდევ ქურდობა არ დაებრალებინათ.

— ახლა გამოგემშვიდობებით სრულებით; ხოლო ერთი სათხოეარი მაქეს თქეენთან —და ყმაწეილი მიუბრუნდა დუქნის პატრონს

— მომეცით მოწმობა, რომ მე ჩემ საქმეს კარგა ვასრულებდი და უხეირო ბიჭი არა ვარ.

კენწედი ოხერით მიუახლოედა მაგიდას ქალალდის ამოსალებათ. ეძნელებოდა ყმაწეილის მოშორება და უხალისოთ ქალალდებს აქეთიქით აწყობდა. ერთბაშათ ქალალდიდან რაღაც გადავორდა უჯრაში და ხმაურობა მოილო.

— რა ამბავია? ეს ვერცხლის ფული, საიდან გაჩნდა? მე ამ უჯრაში ფულს თავის დღეში არ ვინახავ; ჩემო არაბელავ, შენ ხომ არ შეგინახავს?

— რას ლაპარაკობ! მე რათ შეეინახაუდი მანდ ფულს, უსათუოთ შენ თვითონ მიმალავდი და დაგავიწყდა. მომეცალე, მომეცალე ერთი, მე ენახავ და კენწედის ცოლი მიუახლოედა გამოწეულ უჯრას, მერე დაათვალიერა იმ უჯრის ძირი, სადაც ფულს ინახავდენ და თქვა:

— აქ ნახტერეტი ყოფილა; ფული თურმე აქედან ძირის უჯრაში ვარდება და ამიტომ გვაკლდებოდა ხოლმე.

გადაშინჯეს ძირის უჯრის ქალალდები და კიდევ იპოვეს რამდენიმე წერილი ფული.

— აბა, ჩემო იაკო! თქვა მხიარულათ კენწედიმ, — ახლა ყველათე აიტანა და იმედია, ალარ წახეალ ჩეონგან?

მაგრამ ყმაწეილს არ უნდოდა დარჩენა იქ, სადაც მასზე ერთ-ხელ ეჭვი აიღეს და ქურდობა დააბრალეს. ამან გამოართვა თავისი მოწმობა და გამოვიდა დუქწიდან.

გაიხედ-გამოიხედა და გასწია ქალაქ გარეთ, ნაღელიანათ ჩამოჯდა ერთ ქვაზე და წამოიძახა:

— ახლა რაღა მეშველება, საით წავიდე? და ცრემლები ღაპა-ლუპით გადმოუვიდა თვალებიდან.

ან. წერეთლის.

(შემდეგი იქნება)

ქველი სტრონია.

(ცრნესტ ლავისსისა)

ბერძნები.



ერთხმა კრის. საბერძნეთი პორტუგალიისაებ პა-
ტარა ქვეყანაა. ბერძნები იყენ გონიერები და
მშრომელი ხალხი. ჩეასი წლის წინეთ ქრის-
ტეს დაბადებამდე იმათ მხოლოთ ხენა-თესვა და
პირუტყების მოელა-მოშენება იცოდენ, მაგრამ
მალე ისე წინ წავიდენ, რომ კარგათ შეისწავ-
ლეს ხომალდების კეთება, ქალაქების გაშენება,
ხატვა, წერა და სხვა.

2) ბერძნების ასაღშენები. როცა ბერძნები
მეტათ გამრავლდენ, ბევრი მათგანი მიღიოდა
ბედის საძებნელათ უცხო ქვეყნებში. მთელი გუნდობით სხდებოდენ
ხომალდებში, მიღიოდენ უცხო ქვეყნაში, ესახლებოდენ იქ და
აარსებდენ ქალაქებს, ამას ეძახდენ ახალშენის დაარსებას. ბერძნების
ახალშენები იყენ ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე: აზიაში, აფრიკა-
ში, იტალიაში, საფრანგეთში, ისპანიაში, აგრეთვე შავის ზღვის ნა-
პირებზე და ყირიმში.

3) ქადაქები. ბერძნები ერთ სახელმწიფოს არ შეადგენდენ; თი-

თოფული ქალაქი, გარშემო მდებარე სოფლებით, შეადგენდა პატარა ერს, რომელსაც ჰქონდა თავისი მმართველობა, ჯარი და სამხედრო გემები. უკელა ეს პატარ-პატარა ერები ხშირათ ერთმანეთს ებრძოდენ. ამისთანა ერი, ესე იყი ქალაქი, რამდენიმე ასი იყო. უმეტესი ნაწილი ამ ქალაქებისა ძლიერს იქნებოდა ჩევნებური მაზრის რდენა. უმთავრესი ამ ქალაქებში იყო სპარტა და ათინა.

4) სპარტა. სპარტა მთის ხალჩისა და ჯარის კაცების ქვეყანა იყო. აქ ბავშებს ზრდიდენ დროს შესაუერათ, ასწავლიდენ სამხედრო ვარჯიშობას: ჭიდაობას, გადახტომ-გადონხტომას და იარაღის ხმარებას; ცოტას აჭმევდენ, აწევენდენ ლერწმებზე, რომელზედაც მხოლოდ თხელ წამოსასხამებს აფარებდენ და ბავშს აგებულების გასამაგრებლათ ხშირათ კიდეც სცემდენ. ქალებსაც თათქმის ამგარათე ზრდიდენ. მამაკაცები სადილობდენ ოჯახობასთან ერთათ და შემდეგ ვარჯიშობდენ იარაღის ხმარებაში. იმ დროს იმათ არ ცურდენ არც კითხვა და არც წერა და საზოგადოთ ცოტას ლაპარაკობდენ. მაგრამ სამაგიტოთ ისინი ითვლებოდენ მთელ საბერძნეთში საუკეთესო მოჭიდავეთ და მეომრებათ. ბრძოლაში მიღიოდენ შეჯკუფები, რაზმებათ, სალამურის დაკურით. ყოველი მეომარი შეიარაღებული იყო შუბებით, უკელა მათგანი თათქმის მთლათ ტიტეველი იყო და ტიტეველ ტანს იფარავდა განიერას ფარით და აბჯრით. სპარტელების კანონებს თვისის სისასტრიკით განცემულებაში მოჰკვდდა ხალხი, როგორც წინეთ ისე შემდეგ შიაც. ამ კანონების გამოცემას სპარტელები აწერდენ ლიკურგის, რომელიც სცხოვრებდა ქისრეს დაბადების რეგასი წლის წინეთ.

5) ათინა. ათინა-კი ზღვაოსნების ქალაქი იყო. ათინელებს ქალაქს ახლო გამართული ჰქონდათ ნაეთ-ს-დებურა—პირეუმი, სადაც ბლომათ მიღიოდა საქონელი აზიდან, ეკროპიდან და ეკვიპტიდან. ათინელები თან-და-თან მდიდრდებოდენ. მალე აღეძრათ სიყვარული მშენიერ ძეგლების აგებისა, ქანდაკებათა გაკეთებისა და მელექსობისა; მალე ისინი შეიქნენ მთელს საბერძნეთში საუკეთესო მოქანდაკებათ



და მხატვრებათ. ათინელ მოქალაქეებს ძალიან უყვარდათ საჯაროთ ლამაზი სატყვების წარმოთქმა, მოსმენა და სუკენელა საზოგადო საქმეებს არჩევდენ და სწერებდენ მეიდანზე, რომელსაც ეძახდენ აგრძას. კარგი კანონები შეუდგინა ათინელებს სოლომონმა, რომელიც ქრისტეს დაბადების 600 წლის წინეთ ცხოვრობდა.

6) სპარსეულებთან ბრძოლის ატესა. იმ ღრმოს აზია და ეცვიპტე ემორჩილებოდა სპარსელებს, რომლებმაც ოც-და-ათი წლის განმავლობაში დაპყრეს ყელა ქეყნები ინდოეთიდან ეგვიპტემდე. სპარსეთის მეფე შეიქმნა ყელა მეფეებზე ძლიერი; მას უწოდებდენ დიდ შეფეხს. იგი ფლობდა უმტეს ნაწილს აზისა და ეცვიპტისას. ერთმა ამ მეფეთაგანმა, სახელათ დარიოსა, მოინდომა საბერძნეთის დაპყრობაც. იმან გაგზავნა საბერძნეთის ერებთან ელჩები და მოთხოვა მათ, რომ იგი მიეღოთ თავიანთ მეფეთი. უმტესი ნაწილი დაემორჩილა მას შიშით, მაგრამ სპარსამ და ათინამ არ ინდომეს დამორჩილება და სიკულილით დასაჯეს სპარსეთის მეფისაგან გამოგზავნილი ელჩები.

ეს რომ შეიტუო დარიოს მეფემ დამზადა დიდი საომარი ხომალი, გაესო ჯარით და გაგზავნა საბერძნეთში. ჯარი მოადგა საბერძნეთის საზღვარს და ათინის მახლობლათ მართვნთან დაბარადა. ამავე ღრმოს ათი ათასი ათინელი მეომარი გამოუხადდა სპარსელების მოპირდაპირეთ, სისწრავით დაესხა თავს სპარსელებს და ზღვითეე უკუ აქცია. ეს მოხდა ქრისტეს დაბადების 400 წლის წინეთ. ეს იყო პირველი ომი სპარსელებთან.

ათი წლის შემდეგ დარიოსის მემკვიდრემ ქსერქსესიმ თეითონ გამოილაშქრა საბერძნეთზე. მას თან ახლდა მილიონი ჯარის-კაცი და ხუთასი სამხედრო გემი. ათინელთა და სპარსელთა შეერთებულმა ჯარებმა დაანგრიეს სპარსელთა სამხედრო ხომალდები კუნძულ სალამინთან. ეს მოხდა ქრისტეს დაბადების 480 წლის წინეთ და ჯარი დამარცხეს პლატფასთან ქრისტეს დაბადების 479 წლის წინეთ. ეს იყო მეორე ომი სპარსელებთან.



7) ჰერივლესის საუკუნე. ამ გამარჯვების შემდეგ სპარტელები დაბრუნდენ შინ, ათინელებმა-კი განაგრძეს ომი სპარსელებთან და უეელა ბერძნებთა ქალაქებიდან, კუნძულებიდან და აზის ნაპირები-დან განდევნეს სპარსელი ჯარი. ამას შემდეგ ათინელებმა წლიური გადასხადი ფულათ დაწერეს იმათ, რომელი ქალაქებიც-კი სპართა ბატონობისაგან გაანთავისუფლეს. ამ ფულებით ათინელებმა ააგეს ათინაში დიდებული ტაძარი თავის ქალ-ღმერთის სახელობაზე და კიდევ მრავალი სხვა ძეგლები. პირელათ მათ დაიწყეს ტრა-გედის და კომედიების შეთხევა. ბერძნები ამგვარ თხშულებაებს არღვენდენ დიდ გადაუხურავს თეატრში და აყურებინებდენ ხალხს. ხუროთ მოძღვრები, მექანდაკენი, მხატვარნი, პოეტები, ფილოსოფო-სები ყოველი მხრიდან ათინაში იქრიბებოდენ.

მათინ ათინელები ემორჩილებოდენ პერიკლესს, რომელსაც დიდ პატივსა სცემდენ, აი ამ ხანს ეწოდება პერიკლესის საუკუნე.

8) მავრედონია. ათინელთა ძლიერება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ქრისტეს დაბადების 431 წლის წინეთ სპარტამ გამოუცხადა ბერძნებს ომი. ეს ომი გაგრძელდა ოც-და-ათ წელიწადს და მასში თითქმის მთელმა საბერძნეოთმა მიიღო მონაწილეობა. ზაგი ბერძნის ერთ სპარტას მხარეს იყო, ზოგს-კი ათინის მხარე ეყირა. ბოლოს ათინა დამარცხდა და აღებულ იქმნა 404 წელს ქრისტეს დაბადების წინ. მაგრამ უეელა სერძნებს არ უნდოდა სპარტას ქვეშერდობათ გა-მხდარიყო და ასტყდა ხელ-ახლა ომი, ომი საშინელი, სასტიკი. შე-უბრალებლათ სერძნებ ხელებსა და ხოცავდენ კაცებს; ქალებსა და ბავ-შებს ჰყიდდენ მონებათ. ერთსა და იმავე დროს ყოველ ქალაქში იბრძოდენ მდიდარნი და ღარიბნი ერთმანეთის წინააღმდეგ. იმ დროს მაკელონიაში, ჩრდილოეთ საბერძნეოში, ცხოვრობდა სამხედრო გარ-ჯიშ. ბაში გაწეროვნილი და მამაცი ხალხი, რომელსაც არაენი უუ-რადლებას არ აქცევდა. ესენი დაიახლოვა მაკელონის მეუემ, ფილი-პემ, კარგათ გაწერთა თავისი ჯარიც და დაიკავშირა და შემოირთა უეელა ბერძნები სპარსეთის მეფის წინააღმდევ. ათინელებმა წინააღმ-

დევობა გაუწიეს ფილიპეს, მაგრამ მან დამარცხა იგინი ქერონასთან. ეს მოხდა 338 წელს ქრისტეს დაბადების წინ.

9) ჸევენების დაპერიანა აღექსანდრესგან. ფილიპეს შვილი ალექ-
სანდრე გამოიყდა 336 წელს ქრისტეს დაბადების წინ. ორი წლის
შემდევ იგი გაემზარერა 35 ათასის ჯარით სპარსეთის სამეფოს და-
საპყრობათ. სპარსეთის მეფეს ოცჯერ მეტი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მი-
სი ჯარის-კაცები ცუდათ იყვნენ შეიარაღებულნი და იბრძოდენ ძალ-
დატანებით, რადგანაც სამხედრო გარჯიშობა არა ჰქონდათ შესწავლუ-
ლი და მოხმარების მავიერ ხელს უშლიდენ ერთმანეთს. ალექსანდრემ,
რომელსაც კარგი ჯარის-კაცები ჰყავდა, სამჯერ გაიმარჯვა მტრებზე და
დაიმორჩილა ყველა სპარსეთის მეფის ხელქვეითი ქვეყნები. ალექსანდრე
ხშირათ არსებდა ქალაქებს, რომლებიც დღვეანდლამდე არსებობდნ. მ-
უმთავრესი იმათვანი არის ალექსანდრია ეგვიპტეში. ალექსანდრე მი-
ეიდა ინფორმაციები, შემდეგ დაბრუნდა ბაბილონში, სადაც მოკედა
ცივებისაგან 323 წელს ქრისტეს დაბადების წინ, იგი იყო მაშინ მხო-
ლოთ 33 წლისა.

10) ალექსანდრეს მშერიას დანაწილება. ალექსანდრეს მემკვიდრე არა ჰყავდა. იმისი სარდლები იც წელიწადს ეპრძოდენ ერთმანეთს ტახტის დასაკუთრებისათვეს. ბოლოს ეინც უახალი დრის იმათ გადასწიოს გაეყოთ ერთმანეთში ალექსანდრეს სახელმწიფო და თითოეულმა აიღო თითო ნაკერი და შეიქმნა მეფეთ. მაშინ შედგა სამი დიდი სამეფო: მაკელონია, სირია და ეგვიპტე. ამათ გარდა კი- დევ რამდენიმე პარარ-პარარა სამეფოები არსებობდენ 2—3 საუკუ- ნის განმავლობაში.

11) საბერძნეთის სამეფოების ქვეშეცრდომნი იყვნენ აზიელები, ხოლო მეუკეთ იყო ბერძნენი, მას ჰყაულის-კაცუ-ბათ და მოხელეებათ ბერძნები; იგი იწვევდა თავის სასახლეში ბერ-ძნენ სწავლულებს, მექანდაკეებს და მწერლებს. ამ ქვეუნების მკვიდრო თან-და-თან მიიღეს ბერძნებისაგან უკელი ჩევულება და სარწმუნოება და ბოლოს მხოლოდ ბერძნულათ-და ლაპარაკობდენ.



12) ალექსანდრია და მისი მუზეუმი. ზოგს ამ მეფეთავანს უკარ-
ტა მეცნიერება. ეგეიპტის მეფეებმა თავის სატახტო ქალაქ ალექ-
სანდრიაში ააშენეს დიდი ბიბლიოთეკა—წიგნთ-საცავი. იმ დროს
არა იცოდენ-რა არც ქალალის კეთებისა და არც წიგნის ბეჭდებისა.
წიგნებს ხელით სწერულ პაპირუსებზე და დიდის სიფთხილით ინა-
ხავდენ. ამისათვის წიგნები ძლიერ იშეიათი და ძეირი იყო. გამოჩე-
ნილ წერალთა ნაწარმოები შეიძლებოდა სულ დაკარგულიყო, რად-
განაც თითო იმათგანისა შხოლოთ რამდენიმე ეგზემპლარი თუ იშა-
ვებოდა. ალექსანდრიის წიგნთ-საცავში მოგროვილი იყო 300,000 ჰე
მეტი წიგნი. ალექსანდრიაშივე იყო ბოტანიკური ბაზი, ლაბარატო-
რია და დიდი საახლო მეცნიერებისათვის. ყველა ამგვარ დაწესებუ-
ლებათ ეძახდენ მუზეუმს. ცოდნის მსურეელნი ყოველი ქვეყნიდან
მოიდიოდენ აქ, ამ მუზეუმის სანახათ.

13) სელოვენება და შეცნიერება. ერმა რომ დიდი საქმეები გააკე-
თოს და შექმნას, ამისათვის არა აუკილებლათ საჭირო მისი მრა-
ვალ რიცხოვნობა. ბერძნები, როგორც ებრაელები და ეგვიპტელე-
ბი, პატარა ერი იყო. მიუხედავათ ამისა მთელი ქვეყნიერება ბერძნებ-
ზე უფრო ლაპარაკობს, ეინჯე სხვა ერებზე. როცა ბერძნებმა დაიპყრეს
ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონია და სპარსეთი, იმათგან ადეილათ შე-
ისწავლეს ყველა ის, რაც იცოდენ ამ უძევლესმა ერებმა და თი-
თონაც ბერძო რამ გამოიგონეს. ბერძნები და უფრო მომეტებულათ
ათინელები, სწერდენ პოემებს, სათეატრო პიესებს და ისტორიას.
დღესაც დიდის აღლაცებით კითხულობენ გომერის, ესხილასის და
სოფოკლის პოეტურ ნაწარმოებს; ისტორიკოსების ჰეროდოტისა და
ფუფურიდის ნაწერებს და ორატორის დემოსთენის მჭედლმეტყველურ
სიტყვებს. იმათის მიბაძეით ხალხმა შეისწავლა მართლ წერა. ბერძ-
ნებმა ააშენეს ტაძრები, გააკეთეს საუკეთესო ქანდაკებანი და შეისწავლეს
ჩუქურთმები. იმ დროის ნაკეთები, რაც-კი შემდეგ უპოვნიათ, ბლობათ
ინახება დღეს მუზეუმში დიდის ყურადღებით. პირველათ ბერძნებმა
დაიწყეს აზროვნობა და ქვეყნიერებაზე შესანიშნავ მოვლენათა და-

კეირება. ამნაირათ ისინი უკეირდებოდენ ყველა შესანიშნავ სანახა. რაბას და მათვე ჩაუდევეს საძირკველი მეცნიერებას. მაგალითათ: პი-პოკრატია მკურნალობას, არისტოტელმა — საბუნების-მეტყველო მეც-ნიერებას, ეკილილმა — გეომეტრიას, არქიმედმა — მეხანიკას, ერატოს-თენმა — გეოგრაფიას, პაპარქმა ასტრონომიას. ჩეენ ლეს გეეძნე-ლება უკეთ დაწყებულის ამ მეცნიერებათა სწავლა სკოლაში და ბერძ-ნებმა-კი თავის თავათ გამოიგონეს ის. ეპეი არ არის, რომ უნდა გვაკეირდებდეს ბერძნების ნიჭი და უნარი, ერთაიღან ისრნი იყენებასწავლებლათ, ჯერ რომაელთა და შემდეგ დასულეთის ერთა, გან-საკუთრებით იტალიელებისა და ფრანგებისა.

6. შენგელია.





ა ნ დ ა ზ ე პ ი.

აერ კაცი აღდგომასაც აეიაო.

გულწრფელად შენანებული ცოდვა კაცს მიეტევებაო.

(სეგისურული ანდაზა — ჩაწერილი დ. ჰავლაშვილისაგან).

ბრძა თვალმა ერთი ცრემლის ცვარი რომ დააგდოს ისიც კარგია.

გ ა მ თ ც ა ნ ე პ ი.

(წარმოდგენილი ჭ. სესნიაშვილისაგან).

გამოცანას მოგახსენებ პატარასა საადეილოს,
 დაფიქრება ცოტა უნდა თუ მოიცოლი სამისოთ;
 სუსტი პატარა მწერია — შრომისა მოყვარულია,
 ჩეენ ცველა ვიცნობთ სად სცხოვრობს, ვინ არის სადაურია.
 ბევრს გვასარგებლებს, ეს ცველა მის შრომით მონაცემია;
 ჩეენთვის ტკბილი აქვს ნაშრომი — ლეთისათვის კელაპტარია.

(წარმოდგენილი კასტრანტი თუხარელისაგან).

ერთ ქარხანაში ოც-და-ცამეტი მუშა, მათში ოც-და-თორმეტი მუნჯი და ერთი მეტყველი.

(წარმოდგენილი თორნიკე გეგეშიძისაგან).

ერთი ჩამა სულიერი არ დაჯდება ლქინშია,
ცალი ხარი უყავია ერთ ლუუმაზე პირშია.

ଅ ନେବେ ଥିଲେ.


ახლათ გაზაფრულზე კელით ბრწყინვალე დღესაშაულსა,
ღიმილით მოგვესალმება, გაგვითბობს გულსა და სულსა.
დამბადებლისა ტანჯვისა ის არის გამხსნებელი,
გამსწორებელი წარმართთა და ხალხის მაცხონებელი.
ოცნებას სასიხარულოს მიმოვჭენს ქეყნიერებას,
მრავალ უძლურთაც, წამს მაინც, მიშადლის ბეღნიერებას.
ამიტომ ჩეკნცა ვიხაროთ ყურები გექონდეს ცქეიტათა,
აღდგა ქრისტეო, ვინც გვითხრას, შევსძახოთ „ჰელმარიტა“.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი გორე სესნიაშვილისაგან).

ლამე ლამურა ლამით მფრინავი,
ლამე მწერებს სდევს თავის საკეცბათ.

ବେଳୁସି



ଓ ୩ ,

ଟି ୩ ,

କି ୩ ,



କି ୩ ,

କି ୩ ,

କି ୩ ,



କି ୩ ,



କି ୧୦ ,

କି ୧୦ ,

କି ୧୦ ,

କି ୩ ,

କି ୩ ,



କି ୩ ,

ମାପଶୋରିଲ୍ କି ୩ ,

କି ୩ ,

କି ୩ ,



କି ୩ ,



କି ୩ ,

କି ୩ ,

କି ୩ ,

შემოკლებული სა-
ხელი მარიამისა

, ი 10 , ო



№ III გამოცანებისა.

გამოცანა: ფიტრი.

აქროსტიხი: მარტის თვე.

'შარადა: ნინოშვილი.

გამოცანა, აქროსტიხი და შარადა გამოიცნო გორის პროგიმნაზის მოსწავლეებ თამრიყო წერეთელმა.





«သွေးသွေးလှိုင်» ရွှေဇူးပြုလာမ်း

ပုဂ္ဂန္တဆာ ဘေးလောက် စာအုပ်စောင်း၊ စာမျက်နှာ ၁၃၁၃

တမာရ ဖျော်ဖြောက်	1	မီ. 50	က. ဂုဏ်သွေး	30	က.
အလုပ်စဉ် „လျှော်စာ ဖျော်တွေ့ပြီ“ ပုဂ္ဂန္တ 1	—	—	က. ဂုဏ်သွေး	20	က.
အာရာရာ လုပ်ရွေ့	—	—	—	30	က.
နှေ့ရွေ့ မျှော် ခမြဲ့ရွေ့	—	—	—	30	က.
တွေ့ပြီ လွှာ နှေ့ရွေ့	—	—	—	15	က.
နှေ့ရွေ့ လွှာ အာရာရာ	—	—	—	10	က.
စာလုပ်မှု မျှော်	—	—	—	10	က.
ကုန် မှုပေး မှုပေး နိုင်သွေး	—	—	—	10	က.
ဘုရားရွေ့ ဌာန	—	—	—	5	က.
ကုန် မှုပေး မှုပေး နိုင်သွေး	—	—	—	5	က.
စာလုပ် က. ဂုဏ်သွေး	—	—	—	20	က.
လျှော် ဇုန်	—	—	—	35	က.

